„ლიზი–2“ – უნივერსალი ოზურგეთის სინამდვილეში!

– სხვადასხვა ფირმების №1 ბრენდები, უნიკალური ელექტროხელსაწყოები;
– სამღებრო აქსესუარები
– წყლოვანი და ზეთოვანი საღებავები, ემულსიები, ლაკები:
–სანტექნიკა, შესაბამისი ინვენტარებით;
– ყველა სახის მაღალხარისხოვანი სამშენებლო და სარესტავრაციო მასალები...
სურვილის შემთხვევაში სახლში მიტანით.



„ლიზი-2“ - რასაც აქ შეიძენთ იმას, ლინზითაც რომ ეძებოთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

®

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 32 (10402) 27 სექტემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

დაზარალებულ მოსახლეობას მთავრობა დაეხმარება

გურიის რეგიონში ბოლო დღეებში მოსული ძლიერი ნალექის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას საქართველოს მთავრობა დაეხმარება.

გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის **გიორგი ურუშაძის** განცხადებით ამ დროისთვის ზარალის დამთვლელი კომისია სტიქიის ზონებში მუშაობს, ზარალის დათვლის დასრულების შემდეგ დაზარალებული მოსახლეობისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა მოხდება. სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** და დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა **ბესარიონ სიმონიშვილმა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები მოინახულეს.

სააგენტო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს საწყის ეტაპზე, უსაფრთხო გარემოში, დროებით საცხოვრებლით უზრუნველყოფს. სამომავლოდ კი განიხილება, მათი მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი.

გურია-აჭარაში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა **ლერი ბარნაბიშვილი.**

–„მინდა გამოვეხმაურო გურიაში და აჭარაში განვითარებულ მოვლენებს, ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით ადგილობრივმა მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყო სამუშაოები, ჩართულია ყველა შესაბამისი უწყება, მობილიზებულია მძიმე ტექნიკა, მე ვესაუბრე პრემიერ-მინისტრს და იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია და მათი აღდგენითი სამუშაოები დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მინდა ვუთხრა მოსახლეობას რომ არცერთი მოქალაქე არ დარჩება ყურადღების მიღმა მათ ექნებათ მაქსიმალური გვერდში დგომა მთავრობის მხრიდან,“– განაცხადა **ლერი ბარნაბიშვილმა.**

„თითოეული ბიულეტენი რომელიც ამოვა კონვერტიდან, აღიბეჭდება ვიდეო კამერაზე“

ალიონი. ***თუ როგორ ემზადება ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისია არჩევნებისთვის, ამაზე კომისიის თავმჯდომარე ბერდია ლომიძეს ვესაუბრეთ:***

–საოლქო-საარჩევნო ოლქში მშვიდი გარემოა. არჩევნებამდე 5 დღით ადრე რამდენიმე საჩივარია დაწერილი. „დემოკრატიული ცვლილებების ცენტრი“, „საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ მერობის დამოუკიდებელ კანდიდატ კონსტანტინე შარაშენიძეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ედავებოდნენ. ჩავატარეთ მოკვლევა, შევადგინეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, 48-ე მუხლის დ ქვეპუნქტით, რომელიც გადაგზავნილია სასამართლოში. ერთი საჩივარი ცოტა ადრე შემოვიდა „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო-ოდან“. იგი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატ ავთანდილ თალაკვაძის ამომრჩევლებთან ერთ-ერთ შეხვედრას ეხებოდა. იქაც 48-ე მუხლზე იყო საუბარი, მოვიკვლიეთ და საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რადგან ამ შემთხვევაში კანდიდატი შეხვდა შპს-ს თანამშრომლებს და არა საჯარო მოხელეებს. გაასაჩივრეს ჩემი ეს გადაწყვეტილება, მაგრამ სასამართლომ დატოვა ძალაში.

კიდევ ერთი საჩივარი დაიწერა მერიის 35-ე უბანთან დაკავშირებით, რომელიც განხილვის პროცესშია. საუბარი იყო რომ ერთ-ერთ მოქალაქეს (ნინო კილაძე) მიაწოდეს ინფორმაცია, რომ აღნიშნულ უბანს ერთ-ერთი ამომრჩეველი გადასატანი ყუთის სიაში არ ჰყავდათ დარეგისტრირებული. ამ საქმეზე მისნინო კილაძეს ხელმძღვანელი პირები არ დახვდნენ ადგილზე, რის გამოც დამატებით დაწერა სამი საჩივარი.

– ბატონო ბერდია, რა ტექნიკური სიახლეები იქნება და რამდენად უსაფრთხოდ ჩატარდება არჩევნები.?

–ამ ეტაპზე ოლქში მთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები. რაც შეეხება არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებას, ყველა კომისიის წევრი აღჭურვილი იქნება პირბადით, ფარით, ხელთათმანით. ამომრჩევლისთვის გათვა-ლისწინებული იქნება ინდივიდუალური მოხმარების კალამი.

იზოლაციაში მყოფი პირებისთვის ქ. ოზურგეთის №3 სკოლაში იქნება სპეციალური უბანი. კომისიის წევრები აღჭურვილები იქნებიან სრული ეკიპირებით.

შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული ბევრი უბანი არ გვაქვს. ადაპტირებულია ქალაქის ნომერ პირველი და ჭანიეთის უბნები. არის ისეთებიც, სადაც პანდუსი აქვთ მაგრამ არ არის სრული ადაპტაცია..

კომისიის წევრების რაოდენობა. 12-დან, 17-მდე გაიზარდა. აქედან 9 პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელია, 8 კი პროფესიული ნიშნით არჩეული. ხმების დათვლისას მოხდება ვიდეო ფიქსაცია, კონვერტიდან ამოღებული თითოეული ბიულეტენი აღიბეჭდება ვიდეო კამერაზე. საჩივრის, დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერს ექნება შესაძლებლობა, ნახოს ჩანაწერი. არჩევნების შემდეგ, ლოტოტრონით პრინციპით გამოვლინდება 5 უბანი, რომელთა შედეგებიც გადაითვლება ერთ სივრცეში, ერთდროულად. გადათვლა მოხდება ოზურგეთის სპორტის სასახლეში. ამ პროცესებში მედიაც იქნება ჩართული.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

შემგიძლიათ თუ არა, გვითხრათ, მუნიციპალური ტრანსპორტის როგორ სისტემას შემოთავაზებდით ქალაქისა და სოფლების მაცხოვრებლებებს? ასევე, დაგვისახელეთ მიახლოებითი ბიუჯეტი, რაც თქვენი პოლიტიკური ძალის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მუნიციპალური ტრანსპორტის სისტემის განვითარებისთვის გამოიყოფა.

5

მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოლიტიკის გამართვა წარმოადგენს ჩემს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზანს. ქალაქის ტერიტორიაზე და გარკვეულ სოფლებში ათწლეულებია არ ფუნქციონირებს სატრანსპორტო სერვისი, ხოლო სადაც ფუნქციონირებს, ამ დაბებსა და სოფლებში მაცხოვრებელ პირებს უწევთ ძირითადად ამორტიზირებული სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრობა. ზემოალნიშნული პრობლემის დაძლევის მიზნით, მე კონსულტაციები ვაწარმოე კერძო სამარშუტო ხაზის მფლობელ მძღოლებთან. ჩემი მერობის შემთხვევაში ვიზრუნებ, რომ შეიქმნას მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო პარკი, რათა ოზურგეთელ მოქალაქეებს მიეცეთ თანამედროვე და ტექნიკურად გამართული ტრანსპორტით მგზავრობის შესაძლებლობა. ამ რეფორმის ფარგლებში ვგეგმავ იმ ადამიანების დასაქმებას, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე კერძო ტრანსპორტით ემსახურებოდნენ ჩვენს თანამოქალაქეებს.

25

აუცილებელია ამორტიზებული სატრანსპორტო პარკის სრული განახლება. შესაბამისად, მუნიციპალურ ბიუჯეტში უნდა გამოიძებნოს საფინანსო საშუალებები ავტოპარკის განახლებისათვის. ამის შემდეგ, ქალაქს და უკლებლივ ყველა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულს, უნდა მოეშახუროს გამართული, კომფორტული და იაფი სატრანსპორტო საშუალება. აუცილებლად გათვალისწინებული იქნება სოციალურად დაუცველთა და პენსიონერთა მიმართ საშეღავათო ტარიფების გამოყენება. თქვენ ითხოვთ რომ ზოგადად მაინც დაგისახელოთ რა საფინანსო საშუალებები დასჭირდება გამართული სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებასა და ამუშავებას - ეს საკმაოდ დიდი თანხაა, (სავარაუდოდ 5-6 მილიონის ფარგლებში) ამიტომ მოდით ვნახოთ რის საშუალებას მოგვცემს მუნიციპალიტეტის მომავალი ბიუჯეტი. რადგანაც, შესაძლებლობები ამ მიმართულებით მომავალშიც შეზღუდული იქნება. უნდა გავითვალისწინოთ რომ პრობლემა ვერ გადაწყდება ერთდროულად და იგი ეტაპობრივად უნდა გადაწყდეს.

41

თანამედროვე მუნიციპალური ტრანსპორტი ოზურგეთისთვის - ჩვენი 8 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ვგეგმავთ ახალი ავტობუსების შესყიდვას, მოსაცდელების განახლებას და ტაბლოების მონტაჟს ქალაქისა და სოფლების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია კერძო სექტორთან თანამშრომლობა - მუნიციპალური ტრანსპორტის სფეროში საჯარო და კერძო სტრუქტურების კოორდინაციით, - ხარჯთეფექტურობის, უსაფრთხოების და მომსახურების მაღალი სტანდარტი მიიღწევა.
მერია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ტრანსპორტის განახლებისთვის, წიანასწარი გათვლებით 3-5 მილიონ ლარამდე დახარჯავს.

54

საკვანძო ქუჩებში ამოქმედდება სამარშუტო კერძო ხაზები, თუმცა კერძო მეწარმე მძღოლების წახალისების მიზნით მცირედი თანხით მოხდება მათი დაფინანსება, მაგ გადაეცემა ავტომობილის ზეთი, რათქმაუნდა მოეწყობა მოსაცდელები, რომლებიც იქნება მცირე ზომების, დაბალბიუჯეტიანი, მაგრამ ხარისხიანი.

56

- პირველ ეტაპზე, ქალაქისათვის შეძენილი იქნება ახალი, შშმ. პირებზე ადაპტირებული ავტობუსები, რომლებიც მთლიანად დააკმაყოფილებს ამჟამად არსებულ მოთხოვნებს. შემდეგ ეტაპზე გათვალისწინებული იქნება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დატვირთვის შემცირებით გამოწვეული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებაც.
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ისეთი დასახლებული პუნქტების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, სადაც ამჟამად ტრანსპორტი არ ფუნქციონირებს. ასევე გათვალისწინებული იქნება ისეთი ღონისძიებების გატარება, რითაც მოძრაობის განრიგი და მარშუტები ხელსაყრელი აღმოჩნდება ჩვენი მოქალაქეებისათვის.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

თქვენი პოლიტიკური ძალის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში როდის, რომელი წლისთვის, ექნება ოზურგეთის საკანალიზაციო ქსელი და გამწმენდი ნაგებობა?

ირაკლი ღლონტი 5

ჩემთვის რადიკალურად მიუღებელია, რომ ამ დრომდე ვერ მოხერხდა ამ პრობლემის დაძლევა და დღემდე ხორციელდება მდინარეების დაბინძურება. მიმაჩნია, რომ 30 თვის მანძილზე შესაძლებელია სრულად იქნას დაძლეული თქვენს მიერ დასახელებული პრობლემა, ხოლო სოფლებში, ვფიქრობ, უნდა ვიმსჯელოთ იმ ტიპის თანამედროვე სისტემების დანერგვაზე, რომელიც რეალისტურია, არ მოითხოვს სოლიდურ საბიუჯეტო სახსრებს და ამ გზას მიმართავს წამყვანი ევროპული სახელმწიფოები.

გია ცეცხლაძე 25

დასახელებული პრობლემა ნამდვილად უაღრესად მწვავეა და სასწრაფოდ გადაწყვეტას მოითხოვს. კონკრეტულად ქ.ოზურგეთის და დაბების საკანალიზაციო სისტემები მოძველებულია და ცხადია ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. უფრო მეტიც, ქალაქისა და დაბების მოსახლეობის დიდ ნაწილს საერთოდ არ ემსახურება საკანალიზაციო სისტემები. საშინელი მდგომარეობაა კურორტებზე; ურეკში, შეკვეთილში და გომის მთაზე. ეს საკითხი ჩვენთვის უპირველესი და პრიორიტეტული იქნება და შევეცდებით სწრაფად მოვძებნოთ ამ ძალიან რთული პრობლემის გადაჭრის გზები.

ავთანდილ თალაკვაძე 41

საკანალიზაციო სისტემა მუნიციპალიტეტში ძირითადად ამორტიზებულია. ჩვენი 8 პუნქტიანი გეგმა მოიცავს ოზურგეთის ინფრასტრუქტურის განახლებას, რომლის ნაწილიც იქნება საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობების მოწყობა. ეს თავის მხრივ, გარემოს დაცვის და ეკოლოგიის საკითხებთანაც არის კავშირში.
ვინაიდან, საკანალიზაციო სისტემა ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და რთული კომპონენტია, ვადების დასახელება გონივრული იქნება პროექტის შემუშავების შემდეგ. მუშაობას საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის განახლებაზე პირველ წელსვე დავიწყებთ.

გოჩა ძიმისტარიშვილი 54

კანალიზაციის პრობლემის მოგვარება ნამდვილად რთულია და უზარმაზარ თანხებს საჭიროებს, თუმცა ქალაქში ნაწილობრივ ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია.

კონსტანტინე შარაშენიძე 56

სამწუხაროდ, ქალაქის საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის და რეაბილიტაციის საკითხის გადაწყვეტა, ან სრულყოფილი დაპირების გაცემა დღევანდელი რეალობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების ფარგლებში არცერთ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია, რადგან ქალაქის წყლისა და კანალიზაციის ქსელების ოპერირებას ახდენს ცენტრალიზებული, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული მეწარმე სუბიექტი (შ.პ.ს. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“).
ჩვენი მოსახლეობის განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით მოვამზადებთ ქალაქის კანალიზაციისა და წყალარინების სრულ საპროექტო დოკუმენტაციას. ამ პროექტის ფარგლებში სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

თქვენი პოლიტიკური ძალის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი სტრატეგია საუბნო მნიშვნელობის გზების მოწესრიგების მიმართულებით. რა იქნება თქვენთვის პრიორიტეტული საკითხი საგზაო მოძრაობის მოწესრიგების თვალსაზრისით?

ვწუხვარ, რომ დღევანდელ დროს კვლავ გვიხდება ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საუბარი, როგორიც არის შიდა გზები. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა არ კარგავს აქტუალობას, მეტ-ნაკლებად ხდება პრობლემის დაძლევისთვის ფინანსური რესურსების გამონახვა, თუმცა აშკარაა, რომ პოლიტიკური და პარტიული ინტერესების გატარების მოტივით ზიანდება მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ინტერესები. მერობის შემთხვევაში თითოეული გზის დაგების უკან იარსებებს სპეციალისტთა კვალიფიციური დასკვნები და არა პოლიტიკური ინტერესები.

გზების მოსაწესრიგებლად დიდი თანხები იხარჯება, მაგრამ პრობლემა რჩება. აქვე უნდა აღინიშნოს: უკვე არაერთხელ რეაბილიტირებული გზები გაანადგურა მძიმეწონიანი, ინერტული მასალით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სრულიად უსისტემო მოძრაობამ. განადგურების პირასაა მისული ოზურგეთი-ლანჩხუთის ბეტონის საფარიანი გზა, ძლიერაა დაზიანებული ოზურგეთი-ურეკის გზის მონაკვეთი, საჯავახო-ქობულეთის საავტომობილო გზის ნასაკირალის მონაკვეთი. კრიტიკას ვერ უძლებს შიდა გზების მდგომარეობა, განსაკუთრებით სოფლებში, ბოლო წლების განმავლობაში იმდენად დიდი თანხები დახარჯა მუნიციპალიტეტმა გზების მშენებლობაზე, რომ ბევრად უკეთესი მდგომარეობა უნდა გვქონდეს მაგრამ საშწუხაროდ, საბიუჯეტო სახსრები ყოველთვის დანიშნულებისამებრ, მიზნობრივად არ იხარჯება.

ჩვენი გუნდი ამ მიმართულებითაც წარსდგება საზოგადოების წინაშე კარგად გათვლილი პროგრამით. ახალი ბიუჯეტის დაგეგმვამდე კონკრეტული ციფრებით ვერ ვისაუბრებთ. ეს უფრო სამომავლო საკითხია და საკრებულოსთანაც უნდა შეთანხმდეს.

ვთვლით, რომ ინფრასტრუქტურული ხარჯები არაპროპორციულად იყო განაწილებული და სუბიექტურად დაგეგმილი. ასევე, პრობლემას წარმოადგენდა ახალი გზების მოვლა პატრონობა. ხშირად მათი დაგების შემდეგ, ხდებოდა მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც გზების განმეორებით დაგების აუცილებლობას იწვევდა.

ცენტრალური და შიდა გზების მოწყობა ჩვენი პრიორიტეტი იქნება, თუმცა მისი განხორციელება საჭიროებებზე მორგებულად, სამართლიანად და თანაბრად მოხდება. თითოეული პროექტი დასაბუთებული იქნება სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული არგუმენტებით.

საგზაო მოძრაობის მოსაწესრიგებლად დამატებითი ინფრასტრუქტურის განვითარება მოხდება ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ავტოსაგზაო შემთხვევები და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნას დაცული. მზარდი მნიშვნელობის საკითხია მოტოტრანსპორტი და ველოსიპედებისთვის საჭირო ბილიკები ქალაქში, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ.

ჩემი მერობის შემთხვევაში, დიდი ყურადღება დაეთმობა საგზაო ნიშნებს. მაგ. გამოდიხარ მეორეხაისხოვანი ქუჩიდან ცენტრალუ გზაზე, დღეს ისეა რომ ვერ ხედავ ცენრალურ გზაზე მომავალ მანქანას და მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახვევთან ახლოს დგას ავტომობილი, ან მაგ. დგას. ბუჩქი. ან კიდევ ჭავჭავაძისა და დოლიძის ქუჩებზე რა უნდა შუა გზაში ბუჩქებს, რათქმაუნდა აიღება ასეთი ბუჩქები, რომლებიც ამ ქუჩებზე ქმნიან საავარიო სიტუაციას.

- ქალაქ ოზურგეთში, გენერალური გეგმის ფარგლებში შეიქმნება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დეტალური გეგმა, კეთილმოეწყობა ქუჩები და ტროტუარები. შეიქმნება ველო და ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე, შშმ. პირთათვის ადაპტირებული გარემო.
- სოფლებში კვლავ გაგრძელდება ახალი გზების მშენებლობა, უპირატესობა მიენიჭება დასახლებულ პუნქტებს შორის დამაკავშირებელ გზებს, გადაწყვეტილების მიღების დროს მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იქნება მომხმარებელთა რაოდენობა.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება



თქვენი პოლიტიკური ძალის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, რომელი იქნება პირველი სამი ნაბიჯი, რასაც გადადგამთ მიუსაფარი ძაღლების პრობლემის მოსაგვარებლად?

ოზურგეთში ასეულობით მიუსაფარი ცხოველი ბინადრობს ქუჩებში, სამწუხაროდ გვაქვს მოქალაქეთა დაკბენის ათეულობით შემთხვევა.
მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა არის დაუყონებლივ მოსაგვარებელი და საჭიროა სწორი და ჰუმანური პოლიტიკა:
1. უნდა განხორციელდეს მასიური სტერილიზაცია / კასტრაცია და ვაქცინაცია (ცოფზე);
2. უნდა მოეწყოს სარეაბილიტაციო თავშესაფარი, სადაც გადაყვანილი იქნება აგრესული და დაავადებული ცხოველები;

დიდ პრობლემას წარმოადგენს უპატრონო ცხოველების სიმრავლე ქალაქის (და არა მარტო ქალაქის) ტერიტორიაზე. ცხადია, ეს არ არის ადვილად გადასაჭრელი პრობლემა. გაზრდილ მოთხოვნას ვერ უძლებს სოფ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული თავშესაფარი. მითუმეტეს, რომ იგი კონკრეტულად მიუსაფარ ძაღლებზეა გათვალისწინებული. საჭიროა გამართული, მოწესრიგებული, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თავშესაფარი და რაც მთავარია, საჭიროა მოსახლეობასთან აუცილებელი განმარტებითი მუშაობის ჩატარება, რადგან ყველა, ვინც გადაწყვეტს ძაღლის ან კატის მოშორებას მოჰყავს იგი და ტოვებს ქალაქის ტერიტორიაზე, რაც ქმნის გაუსაძლის მდგომარეობას ქალაქში. აქედან გამომდინარე, ჩვენ ბიუჯეტში აუცილებლად გამოვყოფთ ამ პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელ საფინანსო სახსრებს. ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად პირველი არის შესაბამისი საბიუჯეტო უზრუნველყოფა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თავშესაფრის აშენება და სათანადო სამსახურის შექმნა.

მიუსაფარი ძაღლების პრობლემა ოზურგეთში მწვავედ დგას. არაერთი მოქალაქე მოგვმართავს ამასთან დაკავშირებით. ახალგაზრდებმა სოციალური მედიით წამოიწყეს კამპანია №როისმეგობრები რომელსაც გამოვეხმაურე, რადგან გვაქვს გეგმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენ ვგეგმავთ გურიის რეგიონში, მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინაციით, უპატრონო ძაღლებისთვის თანამედროვე სერვისის და შელტერის მოწყობას; ცხელი ხაზის ამუშავებას; ახალი რეგულაციების მიღებას თვითმმართველობის დონეზე, რომელიც ძაღლების მიტოვების საკითხს პასუხისმგებლიანად დაარეგულირებს; ძაღლების აყვანისა და მოვლის წახალისებას და სხვა ინიციატივებს, რომელიც პრობლემას კომპლექსურად დაარეგულირებს.

უპატრონო ძაღლების პრობლემაც მოგვარებადია, რაც მოხდება ჩემი არჩევიდან 6 თვეში.

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პრობლემის მოგვარების პირველ ეტაპზე მოხდება მათი აღრიცხვა და იდენტიფიკაცია ელექტრონული ჩიპების დახმარებით. ინფორმაცია ყველა უპატრონო ძაღლის შესახებ განთავსდება ელექტრონულ პლატფორმაზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის. პარალელურად, მოხდება სტერილიზაცია-კასტრაცია, ასევე ვაქცინაცია. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში მოხდება დამატებითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, მუნიციპალური თავშესაფრის მოწყობა.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

თქვენი პოლიტიკური ძალის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი სტრატეგია საუბნო მნიშვნელობის გზების მოწესრიგების მიმართულებით. რა იქნება თქვენთვის პრიორიტეტული საკითხი საგზაო მოძრაობის მოწესრიგების თვალსაზრისით?

ვწუხვარ, რომ დღევანდელ დროს კვლავ გვიხდება ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საუბარი, როგორიც არის შიდა გზები. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა არ კარგავს აქტუალობას, მეტ-ნაკლებად ხდება პრობლემის დაძლევისთვის ფინანსური რესურსების გამონახვა, თუმცა აშკარაა, რომ პოლიტიკური და პარტიული ინტერესების გატარების მოტივით ზიანდება მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ინტერესები. მერობის შემთხვევაში თითოეული გზის დაგების უკან იარსებებს სპეციალისტთა კვალიფიციური დასკვნები და არა პოლიტიკური ინტერესები.

გზების მოსაწესრიგებლად დიდი თანხები იხარჯება, მაგრამ პრობლემა რჩება. აქვე უნდა აღინიშნოს: უკვე არაერთხელ რეაბილიტირებული გზები გაანადგურა მძიმეწონიანი, ინერტული მასალით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სრულიად უსისტემო მოძრაობამ. განადგურების პირასაა მისული ოზურგეთი-ლანჩხუთის ბეტონის საფარიანი გზა, ძლიერაა დაზიანებული ოზურგეთი-ურეკის გზის მონაკვეთი, საჯავახო-ქობულეთის საავტომობილო გზის ნასაკირალის მონაკვეთი. კრიტიკას ვერ უძლებს შიდა გზების მდგომარეობა, განსაკუთრებით სოფლებში, ბოლო წლების განმავლობაში იმდენად დიდი თანხები დახარჯა მუნიციპალიტეტმა გზების მშენებლობაზე, რომ ბევრად უკეთესი მდგომარეობა უნდა გვქონდეს მაგრამ სამწუხაროდ, საბიუჯეტო სახსრები ყოველთვის დანიშნულებისამებრ, მიზნობრივად არ იხარჯება.

ჩვენი გუნდი ამ მიმართულებითაც წარსდგება საზოგადოების წინაშე კარგად გათვლილი პროგრამით. ახალი ბიუჯეტის დაგეგმვამდე კონკრეტული ციფრებით ვერ ვისაუბრებთ. ეს უფრო სამომავლო საკითხია და საკრებულოსთანაც უნდა შეთანხმდეს.

ვთვლით, რომ ინფრასტრუქტურული ხარჯები არაპროპორციულად იყო განაწილებული და სუბიექტურად დაგეგმილი. ასევე, პრობლემას წარმოადგენდა ახალი გზების მოვლა პატრონობა. ხშირად მათი დაგების შემდეგ, ხდებოდა მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც გზების განმეორებით დაგების აუცილებლობას იწვევდა.

ცენტრალური და შიდა გზების მოწყობა ჩვენი პრიორიტეტი იქნება, თუმცა მისი განხორციელება საჭიროებებზე მორგებულად, სამართლიანად და თანაბრად მოხდება. თითოეული პროექტი დასაბუთებული იქნება სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული არგუმენტებით.

საგზაო მოძრაობის მოსაწესრიგებლად დამატებითი ინფრასტრუქტურის განვითარება მოხდება ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ავტოსაგზაო შემთხვევები და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნას დაცული. მზარდი მნიშვნელობის საკითხია მოტოტრანსპორტი და ველოსიპედებისთვის საჭირო ბილიკები ქალაქში, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ.

ჩემი მერობის შემთხვევაში, დიდი ყურადღება დაეთმობა საგზაო ნიშნებს. მაგ. გამოდიხარ მეორეხაისხოვანი ქუჩიდან ცენტრალუ გზაზე, დღეს ისეა რომ ვერ ხედავ ცენრალურ გზაზე მომავალ მანქანას და მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახვევთან ახლოს დგას ავტომობილი, ან მაგ. დგას. ბუჩქი. ან კიდევ ჭავჭავაძისა და დოლიძის ქუჩებზე რა უნდა შუა გზაში ბუჩქებს, რათქმაუნდა აიღება ასეთი ბუჩქები, რომლებიც ამ ქუჩებზე ქმნიან საავარიო სიტუაციას.

- ქალაქ ოზურგეთში, გენერალური გეგმის ფარგლებში შეიქმნება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დეტალური გეგმა, კეთილმოეწყობა ქუჩები და ტროტუარები. შეიქმნება ველო და ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე, შშმ. პირთათვის ადაპტირებული გარემო.
- სოფლებში კვლავ გაგრძელდება ახალი გზების მშენებლობა, უპირატესობა მიენიჭება დასახლებულ პუნქტებს შორის დამაკავშირებელ გზებს, გადაწყვეტილების მიღების დროს მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იქნება მომხმარებელთა რაოდენობა.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

რას ნიშნავს თქვენთვის გენ. გეგმა და რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ გენ. გეგმას ქალაქის განვითარებისთვის? თქვენი პოლიტიკური ძალის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში რა ნაბიჯებს გადადგამდით რომ ქ.ოზურგეთს ჰქონდეს გენერალური გეგმა?

5

ჩემი მიზანია, რომ ოზურგეთი რეალურად გახდეს ლიდერი მუნიციპალიტეტი, რაც თავის მხრივ პირველ რიგში გულისხმობს მის ურბანულ განვითარებას, სწორად განაშენიანებას და ცხადია, სარეკრეაციო სირცეების დაცვას და ახლის შექმნას.

მერობის შემთხვევაში ვიზრუნებ, რომ არაუმეტეს 8 თვის მანძილზე ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით შეიქმნას თანამედროვე გენერალური გეგმა.

25

უკვე წლებია ქ. ოზურგეთის განვითარების გენერალურ გეგმაზეა საუბარი, მაგრამ, აქაც პრობლემა გადაუწყვეტელია. სამწუხაროდ, ამ ქალაქში და დაბებშიც ყველაფერი სრულიად უსისტემოდ, ქაოტურად და გავბედავთ ვთქვათ, უგემოვნოთ შენდება. არც ერთი ახალაშენებული შენობა არ გამოირჩევა არქიტექტურული მიმზიდველობითა და განსაკუთრებულობით. ზოგიერთი ნაგებობა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ამახინჯებს ქალაქის იერსახეს. აღსანიშნავია ამორტიზებული, მიტოვებული შენობა-ნაგებობები, რომლებზეც სამწუხაროდ საერთოდ არ ზუნავს მუნიციპალიტეტი.

ჩვენ გამარჯვებისთანავე შევუდგებით გენერალური გეგმის შედგენას, მას აუცილებლად თქვენთან ერთად შევადგენთ, ამ გეგმას საჯაროდ განვიხილავთ საზოგადოებასთან და დავამტკიცებთ და რაც მთავარია შევასრულებთ მის ყველა პუნქტს.

41

გენერალური გეგმის გარეშე, ქალაქის მდგრადი განვითარება წარმოუდგენელია. ჩვენი ამოცანა იქნება მომზადდეს და დამტკიცდეს ქალაქის ახალი გენერალური გეგმა.

54

გენერალური გეგმა შეიქმნება დაახლოებით 6 თვეში, რადგანაც მე არანაირი კორუფციული ინტერესი არ მამოძრავებს, არც არასოდეს მამოძრავებდა და ბუნებრივია არც მომავალში იქნება.

56

ქალქის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე მუშაობა ჩვენს მიერ დაწყებულ იქნა 3 წლის წინ. ამჟამად, განხორციელებულია მნიშვნელოვანი ტექნიკური სამუშაოები. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, სრულად დასრულდება აღნიშნული სამუშაოები და ქალაქ ოზურგეთს ექნება განვითარების გენერალური გეგმა.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

რამდენი პარკის, სკვერის, სპორტული მოედნის, ახალგაზრდული სივრცის, კულტურული ცენტრის, ბიბლიოთეკის ან სხვა მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობას ან რეაბილიტაციას გეგმავთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში?

მიზნად მაქვს დასახული, რომ 4 წლის თავზე აბსოლუტურად ყველა სოფელს, დაბას და ქალაქის ყველა უბანს აშშვენებდეს მოვლილი დასასვენებელი პარკები, სკვერები, ახალგაზრდებს ჰქონდეთ სპორტული განვითარების სათანადო პირობები.
ვიზრუნებ, რომ 24 თვის მანძილზე განხორციელდეს მდ. ბჟუჟის სანაპირო ზოლზე ველობილიკის მოწყობა და საჩოგბურთო კორტის აღდგენა;
მიმაჩნია, რომ უნდა ვიმსჯელოთ ძველი, ამორტიზირებული ბიბლიოთეკის ნაცვლად ახალგაზრდებს ჰქონდეს თანამედროვე არქიტექტურის და აღჭურვილობის მქონე ბიბლიოთეკა, ასევე ტექნოლოგიური პარკი, სადაც ოზურგეთელი ახალგაზრდები გაეცნობიან მსოფლიო ტექნოლოგიურ სიახლეებს, ცენტრის მხარდაჭერით შეძლებენ ინოვაციებთან წვდომას, ადგილობრივ და უცხოელ გამომგონებლებთან, სპეციალისტებთან ურთიერთობას.

ახალგაზრდებს ნამდვილად არ მიუწვდებათ ხელი გამართულ სარეკრეაციო, სპორტულ და კულტურულ საგანმანათლებლო სივრცეებზე. ასეთი ტიპის ძველი ნაგებობები უკვე მთლიანად განადგურდა, ან სერიოზულად არის ამორტიზებული. ბოლო პერიოდში სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ნაგებობები იმდენად სახელდახელოდ, უსისტემოდ და უხარისხოდ აშენდა, რომ თითქმის შეუძლებელია მათი ნორმალური ფუნქციონირება. იშვიათად ნახავთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისეთ სარეკრეაციო სპორტულ, კულტურულ- საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც პასუხობს თანამედროვე, დახვეწილ მოთხოვნებს. არაა გამორიცხული (ჩვენ ამაზე ვმუშაობთ) რომ ჩვენი გუნდი ამ პრობლემის გადაჭრისათვის საკითხის კომპლექსურად გადაჭრას მიემხროს. ანუ, სპორტული კულტურულ-საგანმანათლებლო და სარეკრეაციო სივრცე ერთ კონკრეტულ ადგილას ერთ სივრცეში ავაშენოთ, ან არსებული მოვაწესრიგოთ და გავხადოთ მიმზიდველი და ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის.

ამ მხრივ გვაქვს ძალიან საინტერესი კონცეფცია და პროექტი, რომლის მიხედვითაც მოხდება სპორტული და სარეკრეაციო სივრცეების განვითარება ქალაქის სხვადასხვა უბანსა და სოფლების ცენტრებში. ეს პროექტი ყველა ასაკის მოქალაქეზე იქნება გათვლილი და ჩვენს მუნიციპალიტეტში ცხოვრებას უფრო კომფორტულს გახდის. სპორტი და რეკრეაცია ყველასათვის - ეს არის ჩვენი მიზანი.

მართალია თქვენ არ გაქვთ დასმული კითხვა იმ თემაზე, რაც მე მაქვს პროგრამაში, მაგრამ მაინც გეტყვით. შეიქმნება სამედიცინო დიაგნოსტიკური მუნიციპალური ცენტრი, რომელიც აღიჭურვება უახლესი სამედიცინო აპარატურით მიზანი კი იქნება ადრეულ სტადიებზე დაავადებების აღმოჩენა, რაც გადაარჩენს ასობით ოზურგეთელის სიცოცხლეს..

თუ რამდენი პარკის, სკვერის, სპორტული მოედნის, ახალგაზრდული სივრცის, კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკის ან სხვა მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობა ან რეაბილიტაცია მოხდება ოთხი წლის განმავლობაში წინასწარ მიახლოებითი დაგეგმვა ძალიან რთულია. მსგავსი პრობლემების მაქსიმალურად გადასაჭრელად ვგეგმავთ გავაფართოვოთ მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები და ახალი ინსტრუმენტების გამოყენებით მოვახდინოთ მსგავსი სახის პრობლემების გადაჭრა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +10+19	მზე, ღრუბელი +12+20	წვიმა +12+20	მზე +12+20	მზე +12+20	მზე, ღრუბელი +13+23	წვიმა +14+22
27 სექტემბერი ორშაბათი	28 სექტემბერი სამშაბათი	29 სექტემბერი ოთხშაბათი	30 სექტემბერი ხუთშაბათი	1 ოქტომბერი პარასკევი	2 ოქტომბერი შაბათი	3 ოქტომბერი კვირა